

თავი IV

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

სახელმწიფო ბიუჯეტის 2017 წლის 3 თვის შესრულების მაჩვენებლებიდან გამომდინარე საანგარიშო პერიოდში მთლიანი სალდო განისაზღვრა 271 723.2 ათასი ლარის ოდენობით.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 351 634.7 ათასი ლარის ოდენობით.
2. ფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 363 290.2 ათასი ლარი.

ფინანსური აქტივების ზრდა	<i>ათას ლარებში</i>	
	3 თვის დაზუსტებული გეგმა	3 თვის ფაქტიური შესრულება
	172,756.4	363,290.2
ვალუტა და დეპოზიტები*	0.0	224,997.4
სესხები	90,291.0	64,006.1
აქციები და სხვა კაპიტალი	82,465.4	74,286.7

*ვალუტა და დეპოზიტებში 224 997.4 ათასი ლარი წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში ნაშთის დაგროვებას. გამომდინარე იქიდან, რომ 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 704 146.0 ათასი ლარი, თავისუფალი საბრუნავი სახსრების ოდენობა 2017 წლის 1 აპრილისათვის განისაზღვრა 929 143.4 ათასი ლარით.

3. ფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 11 655.5 ათასი ლარი.

ფინანსური აქტივების კლება	<i>ათას ლარებში</i>	
	3 თვის დაზუსტებული გეგმა	3 თვის ფაქტიური შესრულება
	241,733.0	11,655.5
ვალუტა და დეპოზიტები	229,733.0	0.0
სესხები	12,000.0	11,566.1
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	88.7
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.7

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვრა 79 911.5 ათასი ლარის ოდენობით.
2. ვალდებულებების ზრდამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 223 375.5 ათასი ლარი, მათ შორის:

- 88 856.3 ათასი ლარი - სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით საშინაო ვალდებულებების ზრდა;
- 134 519.1 ათასი ლარი - საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და სხვა სახელმწიფოების მთავრობებისგან მიღებული საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები;

ათას ლარებში

ვალდებულებების ზრდა	3 თვის დაზუსტებული გეგმა	3 თვის ფაქტიური შესრულება
		274,613.4
საშინაო	84,992.5	88,856.3
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	84,992.5	88,856.3
საგარეო	189,620.9	134,519.1
სესხები	189,620.9	134,519.1

ათას ლარებში

დასახელება	საანგარიშო პერიოდის ფაქტი
საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები	134,519.1
IFAD	852.0
WB	24,802.7
EBRD	17,431.8
ADB	46,498.4
EIB	23,295.8
საფრანგეთი	3,051.1
იაპონია	4,771.0
გერმანია	13,816.3
სულ კრედიტები	134,519.1

2017 წლის I კვარტლის განმავლობაში ჩატარდა ფასიანი ქაღალდების 14 აუქციონი, გამოშვებული იყო სახაზინო ფასიანი ქაღალდები 420,000.0 ათასი ლარის მოცულობით, ამავე პერიოდში დაიფარა 334,998.0 ათასი ლარის მოცულობის ფასიანი ქაღალდი. ფასიანი ქაღალდების გამოშვების კომპოზიცია: 14.3% იყო 6 თვის ვადიანობის მქონე სახაზინო ვალდებულებები, 40.5% იყო 12 თვის ვადიანობის მქონე სახაზინო ვალდებულებები, 26.2% იყო 2 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები, 14.3% იყო 5 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები და 4.7% - 10 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები.

საანგარიშო პერიოდში სახაზინო ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებულმა თანხამ 404,510.8 ათასი ლარი, ხოლო ძირითადი თანხის დაფარვამ 315,654.4 ათასი ლარი შეადგინა. სახაზინო

ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების შედეგად, საშინაო ვალდებულების ზრდამ შეადგინა 88,856.3 ათასი ლარი, რაც დაგეგმილთან შედარებით 104.5%-ია.

2017 წლის 3 თვის განმავლობაში გამოშვებული და დაფარული სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები

ათას ლარებში

თვე	ვალდებულებების ზრდა	ვალდებულებების კლება	ვალდებულებების წმინდა ზრდა
იანვარი	153,100.9	142,511.7	10,589.2
თებერვალი	135,344.6	100,041.7	35,302.9
მარტი	116,065.3	73,101.0	42,964.3
სულ	404,510.8	315,654.4	88,856.3

3. ვალდებულებების კლება 143 464.0 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრა.

ათას ლარებში

ვალდებულებების კლება	3 თვის დაზუსტებული გეგმა	3 თვის ფაქტიური შესრულება
		150,261.0
საშინაო	23,637.0	24,435.8
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	7,000.0	7,000.0
სესხები	2,080.0	2,080.0
სხვა კრედიტორული დავალიანებები	14,557.0	15,355.8
საგარეო	126,624.0	119,028.2
სესხები	100,000.0	92,404.2
სხვა კრედიტორული დავალიანებები	26,624.0	26,624.0

საქართველოს სახელმწიფო ვალი

2017 წლის 31 მარტის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო ვალის ნაშთმა შეადგინა 14 455.3 მლნ ლარი, მათ შორის:

- სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთი შეადგენს 3 252.8 მლნ ლარს, მათ შორის: ეროვნული ბანკისათვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია („ობლიგაცია სებ-ისთვის“) – 320.8 მლნ ლარი; სხვადასხვა ვადის მქონე სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისათვის („ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“) – 175.0 მლნ ლარი; ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები - 616.2 ათასი ლარი; ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები - 1 468.5 მლნ ლარი; სხვა სავალო ვალდებულებები (ე. წ. „ისტორიული ვალი“) – 672.3 მლნ ლარი.
- სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი შეადგენს 11 202.5 მლნ ლარს.

კრედიტორი	საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის მოცულობა 2017 წლის 31 მარტის მდგომარეობით
სახელმწიფო საგარეო ვალი	11,202,497.4
მთავრობის საგარეო ვალი	11,197,852.5
მრავალმხრივი კრედიტორები	8,110,964.3
მსოფლიო ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA)	2,804,998.9
მსოფლიო ბანკი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD)	1,676,616.8
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	66,312.8
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	265,421.6
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	236,615.4
ევროგაერთიანება (EU)	26,266.0
	623,453.7
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	1,639,893.6
	52,247.0
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	719,138.6
ორმხრივი კრედიტორები	1,859,419.9
ავსტრია	28,708.7
აზერბაიჯანი	23,169.5
თურქმენეთი	516.1
თურქეთი	44,358.0
ირანი	17,994.0
რუსეთი	187,741.6
სომხეთი	26,887.5
უზბეკეთი	518.9
უკრაინა	473.9
ყაზახეთი	67,913.0
ჩინეთი	6,388.2
გერმანია	643,917.4
იაპონია	492,012.7
კუვეიტი	33,234.9
ნიდერლანდები	2,740.1
ამერიკა	60,130.0
საფრანგეთი	222,715.3
ფასიანი ქაღალდები	1,222,600.0
ევროობლიგაცია	1,222,600.0
გარანტირებული კრედიტები	4,868.2
გერმანია	4,868.2
საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალი	4,644.9
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	4,644.9